ხულოს მუნიციპალიტეტი

დაბა ხულოს საჯარო სკოლის მოედნის რემონტის სამუშაოების
სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 12' მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“–ს შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე

2015 წელი
დაბა ხულო

1. ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.
1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
2.1.1 იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეთათვის :
– ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ პრეტენდენტის ქონებაზე არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;
2.1.2 ფიზიკური პირებისათვის:
– ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;
– გადასახადის გადამხდელის მოწმობის ასლი;

2.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

2.2.1 სამუშაოების ტექნიკური აღწერილობა

2.2.1.1 სამუშაოები სრულდება ხულოს მუნიციპალიტეტის დაბა ხულოში და ითვალისწინებს დაბა ხულოს საჯარო სკოლის სტადიონის რემონტს.

2.2.2 სამუშაობისა და გამოსაყენებელი მასალების მოცულობები

დაბა ხულოს საჯარო სკოლის მოედნის რემონტი მოწყობაზე შესასრულებელი სამუშაოების და გამოსაყენებელი მასალების მოცულობები

№	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	2	3	4
	I. დაბა ხულოს საჯარო სკოლის მოედნის რემონტი		
1	ლითონის ღობის მოწყობა ლითონის არსებულ დგარებზე მილკვადრატებით (12 უჯრა)	მ	33,60
	ლითონის მილკვადრატები 50×30	გრძ.მ	65,28
	ლითონის მილკვადრატები 30×20	გრძ.მ	201,60
	ელექტროდი Э-42, 0,574×0,5	კგ	9,64
	სხვადასხვა მასალები	ლ	2,69
2	ლითონის ღობის თავის მოწყობა ლითონის მილკვადრატების დაყენებით მილკვადრატების ჩარჩოში ჩასმული მავთულბადით (20 უჯრა)	მ	46,67
	ლითონის მილკვადრატები 60×60	გრძ.მ	36,67
	ლითონის მილკვადრატები 50×30	გრძ.მ	118,60
	ლითონისმავთულბადე დ=3მმ; 50X50 სმ	კვ.მ	134,32
	არმატურა A-I, Ф=6 მმ	ტნ	0,0149
	ელექტროდი Э-42, 0,574×0,5	კგ	13,39
	სხვადასხვა მასალები	ლ	3,73
3	ახლად მოწყობილი ლითონის კონსტრუქციების შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ	კვ.მ	150
	ზეთოვანი საღებავი	კგ	36,60
	ოლიფა	კგ	4,05
	სხვა მასალა	ლარი	0,29

2.2.3. გამოყენებული მასალის მახასიათებლები:

2.2.3.1 სამუშაოების შესრულებისას ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს;

2.2.3.2 სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული

სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

2.2.3.3 მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

2.2.4. მოთხოვნები და გამოყენების სფერო:

2.2.4.1 შენობის პროექტის განხორციელებაში მონაწილე ყველა სუბიექტი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები მშენებლობის მომზადების, წარმოების და ზედამხედველობის პროცესში, აგრეთვე ობიექტის აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) პროცედურების გავლისას. აღნიშნულ მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს კანონები, ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის გამოცემული აქტები, სამშენებლო ნორმები და წესები, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტები.

2.2.4.2 პრეტენდენტმა უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული დოკუმენტაციით /წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია დანართებით/ კონკრეტულ და სხვა გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა ხდება დამკვეთთან და პროექტის ავტორებთან შეთანხმებით.

2.2.5. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

2.2.5.1 შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;

2.2.5.2 უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

2.2.5.3 უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;

დ) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;

2.2.5.4 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით სამი დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

2.2.5.5 სამუშაოების წარმოების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებს.

2.2 .6 ფასების ცხრილი:

2.2 .6.1 ფასების ცხრილი წარმოდგენილ უნდა იქნეს დანართი N1 შესაბამისად;

2.2.6.2 პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს ფასები ხარჯთაღრიცხვის ჩამონათვალში მოცემულ სამუშაოთა ყველა სახეობაზე. ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი ან ნულით განფასებული სამუშაოები შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება და ჩაითვლება, რომ ეს სამუშაოები დაიფარება სხვა სამუშაოების ხარჯზე.

2.2.6.3 ფასების ცხრილი ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იქნას „დანართი 1“-ს შესაბამისად. პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი, შერჩევა-შეფასება ხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. თუ

ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება და დაემატება სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.

2.2.6.4 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვ- ნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

2.2.6.5 სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;

2.3 ხელშეკრულების აუცილებელი პირობები

2.3.1. ანგარიშსწორების პირობა:

2.3.1.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

2.3.1.2 წინასწარი და შუალედური ანგარიშწორება არ გამოიყენება;

2.3.1.3 საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.3.2 მიწოდების ვადა და პირობები

2.3.2.1 ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 კალენდარული დღე.

2.3.3 . შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

2.3.3.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს სამუშაოების დასრულების შემდეგ.

2.3.3.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება წერილობითი ფორმით. მიღება-ჩაბარება განხორციელდება ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კომისიის ან გამგებლის ბრძანებით დანიშნული ტექზედამხედველის წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

2.3.3.3 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, რაზედაც წინასწარ უნდა იყოს გაფორმებული სათანადო შეთანხმება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის.

2.3.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

2.3.4.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,25 % პროცენტის ოდენობით;

2.3.4.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2.3.4.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

2.3.4.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%–ის ოდენობით;

2.3.5 სავალდებულო საგარანტიო პერიოდი:

2.3.5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაო განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად; შესყიდვის ობიექტზე გამოყენებულ მასალების და კონსტრუქციების საგარანტიო პერიოდი განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამის ვადით.

2.3.5.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს 3 წელს სამუშაოების დასრულებიდან.

2.3.5.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ გონივრულ ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

2.3.5.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან ვადის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

2.3.6 სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი:

ა) სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 (ოცდახუთი) კალენდარულ დღეს ხელშეკრულების გაფორმებიდან.

ბ) სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, შემსყიდველის მხრიდან ტექნიკურ ზედამხედველსა და მიმწოდებელს შორის შესაძლებელია დაზუსტდეს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი. სამუშაოების გეგმა-გრაფიკში შესული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულებაში დამატებით ცვლილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადები გამოიწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადის ცვლილებას.

გ) პრეტენდენტის მიერ გეგმა-გრაფიკი წარმოდგენილი უნდა იქნას დღეების მიხედვით.

2.4 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში გარდა სატენდერო დოკუმენტაციის 2.3. პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

3. მიმწოდებელმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) კომპანიის რეკვიზიტები

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ბანკის დასახელება:
- ბანკი კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში:
- ელექტრონული მისამართი:

ბ) ხარჯთაღრიცხა დანართი №1;

(მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვაში არსებითი შეუსაბამობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას).

გ) სამუშაოების განხორციელების ვადები გეგმა-გრაფიკის სახით;

დ) ინფორმაცია სამუშაოების და გამოყენებული მასალებისა და კონსტრუქციების საგარანტიო ვადის და პირობების შესახებ;

დამატებითი ინფორმაცია: სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, დაბა ხულო ტ. აბუსერისძის ქ. №1, 1 სართული ოთახი №19. საკონტაქტო პირი დავით ქონიაძე მობ: 598 09 05 49.

დანართი №1

ხარჯთაღრიცხვა №1/1

დაბა ხულოს საჯარო სკოლის მოედნის რემონტი

№	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ჯამი (ლარი)
1	3	4	5	6	7
	I. დაბა ხულოს საჯარო სკოლის მოედნის რემონტი				
1	ლითონის ღობის მოწყობა ლითონის არსებულ დგარებზე მილკვადრატებით (12 უჯრა)	მ	33,60		
2	ლითონის ღობის თავის მოწყობა ლითონის მილკვადრატების დაყენებით მილკვადრატების ჩარჩოში ჩასმული მავთულბადით (20 უჯრა)	მ	46,67		
3	ახლად მოწყობილი ლითონის კონსტრუქციების შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ	კვ.მ	150		
	ჯამი :				
	ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 10%	%			
	ჯამი:				
	გეგმიური დაგროვება არაუმეტეს 8 %	%			
	ჯამი:				
	სულ ჯამი:				

პრეტენდენტის დასახელება ———————————